სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის პროექტი 2003-2005

სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის პროექტი



პროექტის პარტნიორები: IRCT - წამების მსვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო; WMA - მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია; HRFT - თურქეთის ადამიანის უფლებათა ფონდი; PHR - ექიმები ადამიანის უფლებები-

ლოკალური პარტნიორები: წამების ძალადობის და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსვერპლთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია" (RCT/ EMPARTHY, Georgia); საქართველოს ექიმთა ასოციაცია (GMA); კავშირი "კონსტიტუციის 42 მუხლი" (Union "Article 42 of Constitution")

ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით (EUCOM)

სარჩევი

სტამბოლის პროტოკოლი: წამების ფაქტების გამოძიებისა და დოკუმენტირების საერთაშორისო სახელმძღვანელო წესები ..... 3 გვ

სტამბოლის პროტოკოლის I დანართი: წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის ფაქტების ეფექტურ გამოძიებასა და დოკუმენტირებასთან დაკავშირებული პრინციპები. ..... 5 გვ

როგორ მოვიპოვოთ სტამბოლის პროტოკოლი

ISBN 92-1-154136-0
ISSN 1020-1688

"სტამბოლის პროტოკოლი: სახელმძღვანელო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირებისათვის" არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ან ესპანურ ენებზე ასლების მოთხოვნა უნდა გაეგზავნოს:

ქ-ნ ვალერი ჯინტეტს

ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარის ოფისის
საინფორმაციო განყოფილება
ეროვნებათა სასახლე
1211 ჟენევა 10
შვეიცარია
ტელ: +41 22 9179159
ფაქსი: +41 22 91 79010
ელ-ფოსტა: vjeantet.hchr@unog.ch

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: http://www.un.org/Pubs/sales.htm.
სტამბოლის პროტოკოლი ხელმისაწვდომია PDF ფაილების ფორმატში ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე გაეროს ვებ-გვერდზე

ინგლისური ვერსიის URL არის: http://www.unhchr.ch/pdf/8istprot.pdf.

სტამბოლის პროტოკოლი: წამების ფაქტების გამოძიებისა და დოკუმენტირების საერთაშორისო სახელმძღვანელო წესები

სტამბოლის პროტოკოლი წარმოადგენს წამების ფაქტების გამოძიებისა და დოკუმენტირების საერთაშორისო სახელმძღვანელო წესების პირველ კომპლექტს. აღნიშნული პროტოკოლი გვაწვდის ყოვლისმომცველ, პრაქტიკაში გამოსაყენებელ სახელმძღვანელო წესებს იმ პირთა შეფასებისათვის, რომელთაც გადაიტანეს წამება ან/და სასტიკი მოპყრობა, გადატანილი წამების შემთხვევების გამოძიებისათვის და გამოვლენილის შესახებ დასკვნების შესაბამისი ორგანოებისათვის წარდგენისათვის. *ექიმები ადამიანის უფლებებისათვის აშშ-ს განყოფილების* **(PHR USA)**, *აქცია წამება გამოვლილთათვის* და *თურქეთის ადამიანის უფლებების ფონდის* **(HRFT)** ინიციატივით და კოორდინაციით პროტოკოლი სამი წლის განმავლობაში მუშავდებოდა 40-ზე მეტი ორგანიზაციის, მათ შორის *წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოს* **(IRCT)** და *მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის* **(WMA)** მონაწილეობით.

სტამბოლის პროტოკოლს დანართის სახით ერთვის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ფაქტების გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები იმისათვის,რომ უზრუნველყოფილ იქნას წამების ფაქტების ეფექტური დოკუმენტირება; ეს პრინციპები აჯამებს პროტოკოლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასპექტებს და სახელმწიფოთათვის წარმოადგენს მინიმალურ აუცილებელ სტანდარტებს.

სტამბოლის პროტოკოლი წარედგინა ადამიანის უფლებების გაეროს უმაღლეს კომისარს 1999 წლის 9 აგვისტოს. სტამბოლის პრინციპები შემდგომში მოწონებული იქნა გაეროს ადამიანის უფლებების კომისიისა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში, ხოლო ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარის ოფისმა პროტოკოლი გამოაქვეყნა *პროფესიული ტრენინგის სერიებში.*

მსოფლიოს ექიმთა ასოციაციასთან **(WMA)**, თურქთის ადამიანების უფლებათა ფონდთან **(HRFT)** და ექიმები ადამიანის უფლებებისათვის აშშ-ს განყოფილებასთან **(PHR USA)** პარტნიორობით და ევროპის კომისიის გულუხვი ფინანსური მხარდაჭერით, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭომ **(IRCT)** წამოიწყო ახალი ამბიციური პროექტი სტამბოლის პროტოკოლის გლობალური დანერგვის მიზნით.

“სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის პროექტის” მიზანია 2003-2005 წლებში გაზარდოს ინფორმირებულობა, ეროვნული თანხმობა და რეალური დოკუმენტირება ხუთ ქვეყანაში: შრი-ლანკა, საქართველო, უგანდა, მაროკო და მექსიკა. ტრენინგის ზოგადი სახელმძღვანელო შემუშავებულ იქნა სტამბოლის პროტოკოლზე დაყრდნობით, შემდეგ იგი მოერგება შერჩეული ხუთი ქვეყნის კონკრეტულ ადმინისტრაციულ და სამართლებრივ გარემოებებს. ამის გარდა, შემუშავდება წამების გამოვლენის ‘შემოკლებული ფორმატის” პროცედურა, რომელიც შეავსებს თვითონ პროტოკოლში აღწერილ უფრო დეტალურ საგამოძიებო პროცედურებს.

აღნიშნული "შემოკლებული ფორმატის" პროცედურა განასაკუთრებით გამოსადეგი იქნება შეზღუდულ გარემოებებში შემოწმების ხელშეწყობისათვის; მაგ. დამოუკიდებელი დამკვირვებლების ციხეში ვიზიტების დროს, როცა ვიზიტად მყოფი პირები შესაძლოა ძალიან შეზღუდული იყვნენ დროში რამდენიმე ასეული დაკავებულის შესაფასებლად. ხანმოკლე პროცედურები საშუალებას იძლევა განხორციელდეს ყველა დაკავებულის თავდაპირველი შემოწმება, რომლის მიზანია გამოავლინოს ის პირები, რომლებმაც გადაიტანეს წამება ან სასტიკი მოპყრობა. ეს ინფორმაცია შესაძლოა შემდგომში პროტოკოლში რეკომენდებული ფორმატის შესაბამისად აღნიშნული დაკავებულების უფრო ღრმა გამოკვლევის საფუძველი გახდეს. იმისათვის, რომ დაკავებულები ციხის ადმინისტრაციის მხრიდან მომავალში შესაძლო სასტიკი მოპყრობისაგან დაიცვას, "ხანმოკლე ფორმატის" პროცედურა გულისხმობს კონფიდენციალობას. ის იგეგმება იმდაგვარად, რომ მინიმუმამდე შეამციროს მსხვერპლის ხელმეორედ ტრამვირების რისკი.

იურიდიულ, ჯანდაცვის და ადამიანის უფლებათა საკითხების ექსპერტების კომპეტენციას შორის მისი საერთაშორისო "მდებარეობის" მიუხედავად სტამბოლის პროტოკილის შესახებ ინფორმირებულობა საკმაოდ შეზღუდულია. შემთხვევათა უმრავლესობაში, სამედიცინო და იურიდიული საუნივერსიტეტო კურსები არ ან/და ვერ უზრუნველყოფენ ცოდნით წამების მსხვერპლთა შემოწმების, წამების მსხვეპლთა მკურნალობის, ან წამების შედეგების შესახებ. ამის გამო, ჯანდაცვის ბევრ სპეციალისტს და ადვოკატს საერთოდ არ ან ძალზედ მწირი მომზადება აქვს გავლილი წამების ფაქტების გამოძიებისა და დოკუმენტირების საქმეში. ეს უკანასკნელი კი როგორც სამედიცინო ისე იურიდიული პროცედურების მხრივ მოითხოვს სპეციალურ ტექნიკურ გამოცდილებას და ცოდნას ეფექტური განხორციელებისათვის.

პროექტის დანერგვისას ტრენინგ-სემინარებს დაესწრება მინიმუმ 250 ჯანდაცვის სპეციალისტი და 125 იურისტი. ტრენინგის პროგრამები ახლო კავშირში იქნება ადვოკატურისა და ლობირების საქმიანობებთან. მათი მიზანია სათანადო საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და შესაბამისი სამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკასა და პროცედურებში აუცილ;ებელი ცოდნისა შეტანა და აქტივიტეტების დანერგვა.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტამბოლის პროტოკოლის დანერგვა, პროექტის პერიოდის ბოლოს ზემოთჩამოთვლილი ქვეყნების ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს წარედგინებათ საბოლოო რეკომენდაციების კომპლექტი. ამის გარდა , თითოეულ ქვეყანაში მიღებული გამოცდილების შესახებ შემუშავებული იქნება ანგარიში, რათა მოხდეს სტამბოლის პროტოკოლის რეალიზაცია სხვა ქვეყნებშიც.

სტამბოლის პროტოკოლი: წამების და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო გამოქვეყნებულია გაეროს პროფესიული ტრენინგების სერიების № 8 ნაწილში. არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, ესპანური და რუსული ვერსიები ხელმოსაწვდომია PDF. ფორმატში ადამიანის უფლებათა გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის ვებ-გვერდზე: ***www.unhchr.cg/html/menu6/2/training.htm***.

I დანართი

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ფაქტების ეფექტურ გამოძიებასა და დოკუმენტირებასთან დაკავშირებული პრინციპები[132]

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის (შემდეგში მითითებული როგორც "**წამება ან სხვა სახის სასტიკი მოპყრობა**") ეფექტური გამოძიება და დოკუმენტირება მოიცავს შემდეგს: ფაქტებისათვის ნათელის მოფენა და მსხვეპლისა და მათი ოჯახების წინაშე ინდივიდუალური და სახელმწიფო პასუხისმგებლობის განსაზღვრა და აღიარება; დევნის ფაქტის გამეორებისა და ხელშეწყობის თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება ან გარემოებიდან გამომდინარე, დისციპლინარული სანქციების განსაზღვრა იმ პირებისათვის, რომლებსაც გამოძიების შედეგებიდან გამომდინარე ეკისრებათ პასუხისმგებლობა; და სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციით სრული დაკმაყოფილება, მათ შორის სამართლიანი და ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის გაცემა, სამედიცინო დახმარებისა და რეაბილიტაციის საშუალებებით უზრუნველყოფა.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ წამების ან სასტიკად მოპყრობის ფაქტებზე საჩივრები და შეტყობინებები დაუყოვნებლივ და ეფექტურად იქნას გამოძიებული. სპეციალური საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი, გამოძიება უნდა განხორციელდეს, თუკი არსებობს სხვა ნიშნები იმისა, რომ წამების ან სასტიკად მოპყრობის ფაქტი შესაძლოა მოხდეს. გამომძიებლები, უნდა იყვნენ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილთაგან დამოუკიდებელნი და ორგანიზაცია, რომელსაც ისინი ემსახურებიან, უნდა იყოს კომპეტენტური და მიუკერძოებელი. მათ უნდა შეეძლოთ და უფლება უნდა ჰქონდეთ უზრუნველყონ გამოძიება მიუკერძოებელი სამედიცინო ან სხვა დარგის ექსპერტებით. ასეთი გამოძიების წარმართვისას გამოყენებული მეთოდები უნდა აკმაყოფილებდეს ყველაზე მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და გამოვლენილი შედეგები ცნობილი უნდა გახდეს ფართო საზოგადოებისათვის.

საგამოძიებო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა მოიპოვოს გამოძიებისათვის აუცილებელი ყოველგვარი ინფორმაცია[1]. პირებს, რომლებიც ახორციელებენ გამოძიებას, თავიანთ განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ ეფექტური გამოძიებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი საბიუჯეტო და ტექნიკური რესურსი. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება აიძულონ წამებასა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებში მონაწილე ყველა ოფიციალური პირი გამოცხადდნენ და მისცენ ჩვენება. იგივე ღონისძიებები უნდა იყოს გამოყენებული ნებისმიერი მოწმის მიმართ. ამასთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანო უფლებამოსილი უნდა იყოს გაუგზავნოს მოწმეებს, მათ შორის ნებისმიერ მონაწილე ოფიციალურ პირს, სასამართლო უწყებები, და მოითხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა. წამების ან სასტიკად მოპყრობის მსხვერპლები, მოწმეები, ისინი ვინც ახორციელებს გამოძიებას და მათი ოჯახები დაცული უნდა იყოს ძალადობისაგან, ძალადობის საფრთხისაგან ან ნებისმიერი სხვა ფორმის დაშინებისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას გამოძიების შედეგად. ის პირები, რომლებიც პოტენციურად შეხებაში არიან წამების ან სასტიკი მოპყრობის შემთხვევებთან, უნდა გათავისუფლდნენ ნებისმიერი თანამდებობიდან, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მომჩივანებს, მოწმეებს და მათ ოჯახებს, აგრეთვე იმათ, ვინც ახორციელებს გამოძიებას.

წამების ან სასტიკი მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული უნდა იყვნენ ნებისმიერ მოსმენასთან და ასევე გამოძიებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაციის შესახებ, უნდა შეეძლოთ მოსმენაზე დასწრება და უფლება უნდა ჰქონდეთ წარადგინონ სხვა მტკიცებულებები.

ისეთ შემთხვევებში, როცა განსაზღვრული საგამოძიებო პროცედურები არაადექვატურია, არასაკმარისი გამოცდილების, ან საეჭვო გავლენის, ან სასტი-

[132] გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი, თავის 2000/43 რეზოლუციაში, და გენერალური ასამბლეა, თავის 55/89 რეზოლუციაში, მთავრობების ყურადღებას ამახვილებს პრინციპებზე და სტიმულს აძლევს მთავრობებს წარმოაჩინონ ეს პრინციპები, როგორც წამების წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოსადეგი ინსტრუმენტი.

[133] გარკვეულ გარემოებებში პროფესიული ეთიკა მოითხოვს ინფორმაციის კონფიდენციალობას. ეს მოთხოვნები აუცილებლად უნდა იყოს დაცული.

კი მოპყრობის მაგალითის აშკარა არსებობის, ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გამოძიებები წარიმართოს დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიების ან მსგავსი პროცედურების საშუალებით. ასეთი კომისიის წევრები უნდა შეირჩეს მათი აღიარებული მიუკერძოებლობის, კომპეტენციისა და დამოუკიდებლობის გამო. კერძოდ, ისინი დამოუკიდებელნი უნდა იყვენენ ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილისაგან და იმ უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან, რომლებშიც ეს უკანასკნელნი მსახურობენ. კომისიას უნდა ჰქონდეს უფლება გამოძიებისათვის მოიპოვოს ყოველგვარი აუცილებელი ინფორმაცია და განახორციელოს გამოძიება აღნიშნული პრინციპების შესაბამისად[134].

დროის მონაკვეთის ადექვატურ ფარგლებში გაკეთებული წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს ძიების, პროცედურებისა და მეთოდების ჩამონათვალს, რომლებიც გამოიყენება მტკიცებულების, ასევე გამოვლენილი ფაქტებისა და არსებული კანონმდებლობის საფუძველზე გაკეთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში. საბოლოოდ, აღნიშნული შეტყობინება უნდა გახდეს საჯარო. მასში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ის კონკრეტული მოვლენები, რომელთა არსებობა დადასტურებულია და ის მტკიცებულება, რომელსაც ამგვარი გამოვლენილი შედეგები ემყარებოდა, დაკითხული მოწმეების ჩამონათვალი, იმათი გამოკლებით, რომელთა ვინაობა მათი დაცვის მიზნით არ არის გამჟღავნებული. დროის მონაკვეთის ადექვატურ ფარგლებში სახელმწიფომ რეაგირება უნდა გააკეთოს გამოძიების შეტყობინებაზე და გარემოებიდან გამომდინარე განსაზღვროს რეაგირებისათვის საჭირო ღონისძიებები.

წამების ან სასტიკი მოპყრობის ფაქტებში მონაწილე სამედიცინო ექსპერტები ყოველთვის უნდა იქცეოდნენ მაღალი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად; კერძოდ, შემოწმების განხორციელებამდე უნდა მიიღონ ინფორმირებული თანხმობა. შემოწმება უნდა მოხდეს სამედიცინო პრაქტიკაში არსებული სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, შემოწმება უნდა განხორციელდეს კონფიდენციალურად თავად სამედიცინო ექსპერტის თანდასწრებით და უშიშროების აგენტების და სხვა სამთავრობო ოფიციალური პირების დასწრების გარეშე.

სამედიცინო ექსპერტმა დაუყოვნებლივ უნდა მოამზადოს ზუსტი წერილობითი ანგარიში. ეს ანგარიში უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგს:

(ა) შესამოწმებელი პირის სახელი და გვარი, შემოწმებაზე დამსწრეთა გვარები და მათი მიმართება საქმესთან – სამსახურეობრივი კუთვნილება; ზუსტი დრო და თარიღი, იმ დაწესებულების მდებარეობა,ტიპი და მისამართი (მათ შორის თუკი შესაძლებელია, ოთახის მითითება), სადაც განხორციელდა შემოწმება (მაგ. დაკავების ცენტრი, კლინიკა, სახლი); დაზარალებულის მდგომარეობა შემოწმების დროს (მაგ. ნებისმიერი სახის შეზღუდვები შემოწმებაზე მისვლასთან დაკავშირებით ან მისი მიმდინარეობის დროს, უშიშროების წარმომადგენელის დასწრება შემოწმების პროცესში, პატიმრის თანხმლები პირების ქცევა, რომელიც სირთულეს უქმნის შემოწმებას, შემმოწმებლისათვის საშიში ან ხელისშმშლელი ფაქტორები) და ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი;

(ბ) გამოკითხვის დროს დაზარალებულის მიერ გადმოცემული ისტორიის დეტალური ანაგრიში, მათ შორის წამებისა და სასტიკად მოპყრობის სავარაუდო მეთოდები, დროის მონაკვეთი და თარიღი (თუნდაც სავარაუდო), როცა წამება ან სასტიკი მოპყრობა სავარაუდოდ განხორციელდა და ყველა სახის სომატური და ფსიქიკური ჩივილები;

(გ) ყველა სახის სომატური და ფსიქიკური შედეგის კლინიკური შემოწმების, მათ შორის, სათანადო დიაგნოსტიკური შემოწმების ანგარიში, და თუ შესაძლებელია ყველა დაზიანების ფერადი ფოტოები;

(დ) ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედგების წამებასა ან/და სასტიკ მოპყრობასთან შესაძლო კავშირის ინტერპრეტაცია. წარმოდგენილი უნდა იყოს ნებისმიერი აუცილებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური მკურნალობისა და შემდგომი შემოწმება-გამოკვლევის რეკომენდაციები;

(ე) ანაგრიშში ზუსტად უნდა იყოს მითითებული შემწომების შემსრულებელი პირები და იგი უნდა იყოს ხელმოწერილი.

ანგარიში უნდა იყოს კონფიდენციალური და გადაეცეს დაზარალებულს ან მის მიერ დასახელებულ წარმომადგენელს. დაზარალებულის ან მისი წარმომადგენელის შეხედულება შემოწმების შესახებ ასახული უნდა იყოს ანგარიშში. ასევე წერილობითი ანგარიში უნდა წარედგინოს წამების და სასტიკი მოპყრობის ფაქტების გამოძიებაზე პასუხისმგებელ ორგანოს. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ანგარიშების აღნიშნული პირებისათვის უსაფრთხოდ გადაცემა. ანგარიში ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს ნებისმიერი სხვა პირისათვის, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ხორციელდება დაზარალებულის თანხმობით ან სასამართლოს ნებართვით, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ასეთი გადაცემა.

გარკვეულ გარემოებებში პროფესიული ეთიკა მოითხოვს ინფორმაციის კონფიდენციალობას. ეს მოთხოვნები აუცილებლად უნდა იყოს დაცული.

[134] იხილეთ სქოლიო ზემოთ.

პროექტის პარტნიორები:

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო (IRCT)
მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია (WMA)
ადამიანის უფლებათა თურქეთის ფონდი (HRFT)
ექიმები - ადამიანის უფლებებისათვის, აშშ-ს განყოფილება (PHR USA)

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო **(IRCT)** არის საერთაშორისო, დამოუკიდებელი, ჯანდაცვის პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს და ეხმარება წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციას და მუშაობს მთელს მსოფლიოში წამების ფაქტების თავიდან აცილებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტი შეიქმნა ევროპის კავშირის ფინანსური დახმარებით. მასში წარმოდგენილი მოსაზრებები წარმოადგენს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოს მოსაზრებებს და ამრიგად არანაირად არ ასახავს ევროპის კომისიის ოფიციალურ მოსაზრებას.

IRCT

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო

არასამთავრობო ორგანიზაცია გაეროს ეკონომიკურ და
სოციალურ საბჭოში სპეციალური საკონსულტაციო სტატუსით.
Borgergade 13
P.O. Box 9049
DK-1022 Copenhagen k
Denmark
ტელ: +45 33 76 06 00
ფაქსი: +45 33 76 05 00
ელ-ფოსტა: irct@irct.org
htt://www.irct.org